ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N\s 31

ქ. თბილისი 09.11.2015 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „გროსო", წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი კირთაძის სახით (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 17.08.2015წ #13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, <u>გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მონეტარული ზღვრების დაცვით</u>, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

2.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

2.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

3.1 ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის შენობის სახურავის სარემონტო სამუშაოების (ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები) სახელმწიფო შესყიდვა (CPV45261910).

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერა მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში (დანართი #1), რომელიც ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 523,45 (ხუთას ოცდასამი ლარი და ორმოცდახუთი თეთრი) ლარს.

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ალექსი ლოლიშვილი.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ორივე ობიექტზე სამუშაოების სრულად დასრულების შემდეგ.
6.2. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლები. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ალექსი ლოლიშვილი.
6.3. მიღება-ჩაბარების აქტი დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, დრო და ადგილი

7.1 მომსახურების განხორციელების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.
7.2 მომსახურების განხორციელების ადგილი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-16 კმ. თბილისის საქალაქო სასამართლოს მომსახურების ცენტრი.

8. გარანტია

8.1. განხორციელებული სამუშაოებზე მიმწოდებელი იძლევა 3 (სამი) წლიან გარანტიას, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.
8.2. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი უზრუნველყოფს შესრულებულ სამუშაოში გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი სახსრებით.

7. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში - ლარში;
9.2. ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;
9.3 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება სამუშაოების სრულად განხორციელებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში, ამ მუხლის 9.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების საფუძველზე.
9.4. საანგარიშსწორებო დოკუმენტები: ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოზე გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა N2-ის და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის შემსყიდველისთვის წარმოდგენის შემდეგ. შემსყიდველი ასევე უფლებამოსილია ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოზე განხორციელოს საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზა (ექპერტიზის ჩატარებას უზრუნველყოფს შემსყიდველი), ასეთ შემთხვევაში, ანგარიშსწორება განხორციელდება ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის, მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა N2-ის და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ;

9.5. დაფინანსების წყარო: **2015 წლის საკუთარი სახსრები.**

10. ხელშეკრულებაში ცვლილება

10.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, არაუმეტეს ხელშეკრულების თავდაპირველი ჯამური ღირებულების 10%-ისა. ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

10.3. მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რის შესახებაც არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობითი ფორმით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს;

10.4. ხელშეკრულება შეიძლება ასევე შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

11.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან გამოწვეული მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით და სხვა გარემოებებით;

11.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. მხარეთა ურთიერთობა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

12.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მოწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

12.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

12.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ „შემსყიდველი"-ს მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი;

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი\დაგვიანებით შესრულებული ნაწილის 0.5 %-ს, რომლის გადახდა მოხდება დამრღვევი მხარის მიერ ამ თანხის გადახდის შესახებ მეორე მხარის წერილობით მოთხოვნის მიღებიდან განსაზღვრულ ვადაში.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,5 %-ის ოდენობით.

13.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15.დამატებითი პირობები

15.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან და ორი ეგზემპლარი - შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან
არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი
მის.: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ს/კ 203860642

მიმწოდებელი:
შპს „გროსო"
მის.: ქ.თბილისი, ჩოლოყაშვილის ქ. I კვ
II კორპ, ბინა N50
ს/კ 206270417
სს "თი ბი სი ბანკი"
კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE67TB7190236150100001

გიორგი კაკაურიძე
თავმჯდომარის მოადგილე

გიორგი კირთაძე
დირექტორი

ქ.თბილისის საქალაქო სასამართლო-მოქალაქეთა მომსახურების ცენტრის შენობის სახურავის სარემონტო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა								
№	შესასრულებელი სამუშაოს ჩამონათვალი	განზ. ერთეული	რაოდ. და მოცულობა	მასალა		ხელფასი		ჯამი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
	ჰიდროსაზოლაციო სამუშაოები							
1	არსებულ სახურავზე სენდვიჩ-პანელის დაზიანებული ნაწილის ადგილების გაფხეკა-გასუფთავება	გ/მ	8,50	0,00	0,00	6,25	53,13	53,13
2	სენდვიჩ-პანელის დაზიანებული ადგილების დაგრუნტვა, საიზოლაციო ბადე ფირის დაკვრა და საიზოლაციო ხსნარის წასმა 2-ჯერ (8,50*0,50)	გ/მ	8,50	17,65	150,03	18,75	159,38	309,40
	ჯამი				150,03		212,50	362,53
	ზედნადები ხარჯები	10%						36,25
	ჯამი							398,78
	გეგმიური დაგროვება	8%						31,90
	ჯამი							430,68
	გაუთვალისწინებელი ხარჯები	3%						12,92
	ჯამი							443,60
	დღგ	18%						79,85
	სულ ჯამი:							523,45

შენიშვნა: ფასები წარმოდგენილია ლარში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

შემსყიდველი

მიმწოდებელი